განკარგულება:**გ-27.27212674**
თარიღი:**24/09/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №68

24 სექტემბერი 2021 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის №42 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო იურიდიული პირის „ვორლდ ვიჟენ საქართველო“ ფილიალისთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე “ ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის №42 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო იურიდიული პირის „ვორლდ ვიჟენ საქართველო“ ფილიალისთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო იურიდიულ პირს „ვორლდ ვიჟენ საქართველო“ ფილიალს (ს/კ 203844251) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს ქ. თელავში, რუსთაველის გამზ. N93-ში მდებარე N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 53.20.47.558) I სართულზე არსებული 93.65 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.“

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი